საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 0 22 00088853

27.01.2022

მკვლევარ ალექსანდრა შალიბაშვილს

ელ-ფოსტა: foi+request-117-ce23ecd3@askgov.ge

ქალბატონო ალექსანდრა,

თქვენი 2022 წლის 12 იანვრის (რეგისტრაციის №25506 13.01.2022) განცხადების პასუხად, წარმოგიდგენთ ჩვენს ხელთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში დასაქმებულ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ, გენდერულ ჭრილში:

- 2018 წელი - 5.4% ქალი, 94.6% მამაკაცი;
- 2019 წელი - 5.5% ქალი, 94.5% მამაკაცი;
- 2020 წელი - 5.3% ქალი, 94.7% მამაკაცი;
- 2021 წელი - 5.5% ქალი, 94.5% მამაკაცი;
- 2022 წელი (იანვრის მდგომარეობით) - 6.5% ქალი, 93.5% მამაკაცი.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ჯამურ რიცხოვნობას, ასევე მათ ასაკობრივ და წოდებრივ მონაცემებს, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილების დანართი №2-ის II თავის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს თავდაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი
ნათია ჯალიაშვილი

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. 20; ტელ.: (+995 032) 2 543535; ელ-ფოსტა mod@mod.gov.ge